დასაწყისი საიმედოა!

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 10 აპრილი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (მოსკოვი) 2:0 (2:0).

თბილისი: ურუშაძე, პეტრიაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ხართიშვილი, ილიადი, ხუციშვილი (ასათიანი), მაისურაძე, იამანიძე, დათუნაშვილი.

მოსკოვი: რაკიტსკი, ივანოვი, მუდრიკი, გლოტოვი, მასლოვი, ანიჩკინი, დუდკო (ვოტოლოვსკი), გუსაროვი, ავრუცკი, კოროლენკოვი, ვშივცევი.

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

საგაზაფხულო ფეხბურთის რეცენზიებში მკითხველი, როგორც წესი, კარგს ბევრს ვერაფერს წაიკითხავს. სეზონის ამ ეტაპზე მოთამაშეები არ არიან სრულ ფორმაში, მოისუსტებს ფიზიკური მომზადება, ხშირია ლაფსუსები ტექნიკური ილეთების შესრულებისას, სათანადო სიზუსტით ვერ ხორციელდება ტაქტიკური ხასიათის გათამაშებანი, გუნდის შემადგენლობა ჯერ კიდევ შორსაა სტაბილურისგან და ა.შ. ერთი სიტყვით, ესაა დაწყებითი ფეხბურთი მთელი თავისი საგაზაფხულო ნიშნებით.

აი, სეთი “ნაადრევი” ფეხბურთი გვიჩვენა მოსკოვის “დინამოს” განთქმულმა კოლექტივმა. როგორიც უნდა იყოს მაყურებლის სიმპათიები ამ პოპულარული გუნდისადმი, კომპლიმენტებს ამჯერად იგი ვერ იმსახურებს. ორიოდე “თბილი” სიტყვის ღირსნი თუ არიან მასლოვი, კოროლენკოვი, შეიძლება – რაკიტსკიც. დანარჩენები? დანარჩენები ფეხბურთის ლექსიკონით რომ ვილაპარაკოთ, არ ჩანდნენ მინდორზე. არ ჩანდა, საერთოდ, ის მოსკოვის “დინამო”, რომლის სიძლიერე და კლასი ხშირად გვინახავს ჩვენს სტადიონზე.

რაშია საქმე? გაზაფხული განა მარტო მოსკოვის დინამოელთათვისაა? ან განა მარტო სტუმრებს აკლდათ მოწინავე მოთამაშეები? თბილისის “დინამოს” დანაკლისი 10 აპრილს ამ მხრივ ხომ მეტი იყო, ვიდრე მისი ტრადიციული მეტოქისა?

ყველაფერი გადაწყვიტა დებიუტმა. თბილისელებმა ისეთ ტემპში, ისეთი სიმძლავრით დაიწყეს თამაში, შეტევას ისეთი ფრონტალური ხასიათი ჰქონდა (მოიერიშე ძალების ხშირი ცვლით და ნახევარმცველთა ძალიან აქტიური მხარდაჭერით), რომ სტუმრების დაცვის ბასტიონები პირველივე წუთებზე შეირყა, აირია და ტაიმი ისე დასრულდა, კონტრშეტევის რამდენადმე სერიოზული ორგანიზება გუნდმა ვერც კი შეძლო. საამისოდ მას არ დრო ჰქონდა, არც ძალები.

პირველი 5 წუთის განმავლობაში ბურთი თითქმის არც ერთხელ არ გამოსულა თბილისელთა ნახევარზე. არ გამოჩენილან სტუმრების ფორვარდები ჩვენს საჯარიმო მოედანზე მეორე 5 წუთშიც, მესამეშიც, მეოთხეშიც... მთელი თამაში მიმდინარეობდა მოსკოველთა ნახევარზე. არა მარტო თავდამსხმელები და ნახევარმცველები, მასპინძელთა მცველებიც კი სულ უფრო და უფრო მეთოდურად უახლოვდებოდნენ მოპირდაპირე კარს. ტემპი, ტემპი... უტევდა ყველა, უკლებლივ!

ცხადი იყო, მოსკოველები ვერ გადაურჩებოდნენ გოლს და მათი კარი (მართალია, ოდნავი მოგვიანებით) აღებულ იქნა კიდეც. დათუნაშვილის მიერ მიწოდებული კუთხური ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა ივანოვმა, ჩვენმა მარცხენა გარემარბმა დაბლა გაუგორა ბურთი იამანიძეს და ამ უკანასკნელმა ზუსტად დაამთავრა ეს მწვავე შეტევა – 1:0.

ასეთი უპირატესობა და მხოლოდ 1 გოლი როგორღაც არ ეხამებოდა ერთმანეთს. გამარჯვებას განმტკიცება ესაჭიროებოდა და მისი, ასე ვთქვათ, სრული გარანტია მოვიდა ასათიანის მიერ გატანილი ბურთის სახით: დებიუტანტმა მაღალ ნახტომში თავით მიიღო ილიადის გადაცემა, მკვეთრად დაარტყა და როგორც რაკიტსკი, ისე მის მახლობლად განლაგებული მცველები, უძლურნი იყვნენ მოეგერიებინათ ბურთი – 2:0.

პირველი ტაიმი თბილისელთა შესრულებით საუცხოო იყო. გუნდის ყოველი წევრი ამ 45 წუთისთვის უმაღლესი ნიშნის ღირსია!

გაცილებით უფრო მოკრძალებულია ჩვენი შეფასებანი მეორე 45 წუთისთვის. როგორღაც უცებ იკლო საერთო ტონუსმა, ტემპმა, მოთამაშეთა მონდომებამ. თავდასხმაში სულ უფრო ხშირად ჩანდა ფუჭი სვლები და გადამწყვეტი სიტყვა მიდგა თბილისელთა დაცვაზე. აქ უპირველესი

მადლობა ეთქმით ხურცილავას და ცხოვრებოვს, ამას გარდა, ძალზე ძნელი ბურთის აღება მოუხდა ურუშაძეს (ვოტოლოვსკის დარტყმა).

ჩემპიონატის პირველ მატჩში თბილისის "დინამომ" აჩვენა კარგი მომზადება და მაღალი ბრძოლისუნარიანობა.

დასაწყისი საიმედოა!

ბ. ქორქია.

"ლელო", 12 აპრილი, 1966 წ.